



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000068611549816

0900 ქ. ახმეტა ჩილვაძის ქ. N49. Tel: +995 349 22 22 96; +995 349 22 31 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 33

03 / მაისი / 2016 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით გადაცემის შესახებ შემდეგ სატრანსპორტო საშუალებებზე:

ა) „მერსედეს ბენცი“, სარეგისტრაციო ნომერი YXY838, სარეგისტრაციო მოწმობა

RV0200098,გამომშვების წელი 1999, ფერი შავი, ტიპი „სედანი“

2. განკარგულება გადაეცემა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქვეყნდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე - სხდომაზე
დამსწრე უბუცესი წევრი



დავით მურიასაშვილი